ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია

2024 წელი, I კვარტალი

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა - (30 07)

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	**დასახელება**	**წლიური დამტკიცებული მოცულობა**	**წლიური დაზუსტებული მოცულობა**	**საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება**	**საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში**	**საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა					**45 617.4**

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- დასრულდა ქ. რუსთავში სასადილო შენობის გადაკეთება სატელეფონო კონსულტაციის სამსახურისთვის და პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპისათვის საჭირო სარეგისტრაციო შენობის გადიდება;
- მოწოდებულ იქნა ახალი დიზაინის ტრანზიტული სახელმწიფო სანომრე ნიშნები (210 000 ცალი);
- შესყიდულ იქნა 2 (ორი) ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნების საბეჭდი ჰიდრავლიკური წნეხი;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჭირო საწვავების შეძენა;
- განხორციელდა და ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის ავტომანქანების შეძენა;

- თანხები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - ,,112“-ს და სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს;

- სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვისა და გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №164 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები და იურიდიული პირებზე იარაღის რეგისტრაცია და 2023 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრირებული სანადირო ხრახნილულიანი (მათ შორის, კომბინირებული) ცეცხლსასროლი იარაღის მესაკუთრეთა ვალდებულება 2024 წლის 1 თებერვლის ნაცვლად გადაიწია 1 მაისამდე ბალისტიკური შემოწმების მიზნით მომსახურების სააგენტოში წარადგინონ მათ სახელზე რეგისტრირებული სანადირო ხრახნილულიანი (მათ შორის, კომბინირებული) ცეცხლსასროლი იარაღი;

- „სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები. რომლის თანახმად, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ლიზინგის რეგისტრაციისას აღარ მოითხოვება სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობა და ასევე, განისაზღვრა სააგენტოში ცნობის გასაცემად წარდგენილი დოკუმენტების შენახვის ვადა;

- აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებასთან დაკავშირებით, ირლანდიასთან, იტალიასთან, ლიეტუასთან, არაბთა გაერთიანებული საამიროებთან და მოლდოვასთან.

- სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე, გამოქვეყნდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია სააგენტოს სერვისების შესახებ, ასევე სიახლეების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების მიერ;

- საანგარიშო პერიოდში დისტანციური სერვისით ისარგებლა 83 315-მა პირმა, მათ შორის:

  - საინფორმაციო სამსახურმა 3 თვის განმავლობაში უპასუხა - 19 659 მომართვას;
  - სატელეფონო კონსულტაციის სამსახურში შემოვიდა და პასუხი გაეცა - 63 656 ზარს.

- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მომსახურება გაუწია 197 610 მოქალაქეს და 9 663 ორგანიზაციას;